

განცხადება

2014 წლის 22-24 აპრილს ჩატარდება ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXVIII გაფართოებული სხდომები.

იმუშავებს

- მათემატიკის საფუძვლებისა და მათემატიკური ლოგიკის (ხელმძღვანელები – როლანდ ომანაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი, თანახელმძღვანელი – არჩილ ყიფიანი; email: archil.kipiani@tsu.ge),
- გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების (ხელმძღვანელი – მათემატიკის ბაასი (ავსტრია), თანახელმძღვანელები – ჯემალ ანთიძე, ხიმურ რუხაია; email: khimuri.rukhaia@viam.sci.tsu.ge),
- ალგებრისა და გეომეტრიის (ხელმძღვანელები – მიხეილ ამალობელი, თეიმურაზ ვეფხვაძე, გიორგი ხიმშიაშვილი, თანახელმძღვანელი – ქეთევან შავგულიძე; email: ketevanshavgulidze@yahoo.com),
- ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის (ხელმძღვანელები – უშანგი გოგინავა, ლერი გოგოლაძე, თანახელმძღვანელი – ანა დანელია; email: z_goginava@hotmail.com),
- კომპლექსური ანალიზისა და მისი გამოყენებების (ხელმძღვანელი – გრიგორ გიორგაძე, თანახელმძღვანელი – გიორგი ახალაია; email: gia.giorgadze@tsu.ge),
- ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისა და ოპტიმალური მართვის (ხელმძღვანელები – თამაზ თადუმაძე, რომან კოპლატაძე; email: tamaztad@yahoo.com),
- კერძოწარმოებულზე დიფერენციალური განტოლებების (ხელმძღვანელები – დავით ნატროშვილი, სერგო ხარიბეგაშვილი, თემურ ჯანგველაძე, თანახელმძღვანელი – ზურაბ კილურაძე; email: tjangv@yahoo.com),
- ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის (ხელმძღვანელი – ელიზბარ ნადარაია, თანახელმძღვანელი – ომარ ფურთუხია; email: o.purtukhia@gmail.com),
- უწყვეტ გარემოთა მექანიკის (ხელმძღვანელები – თენგიზ მეუნარგია, მერაბ სვანაძე, ჯონდო შარიქაძე, ნური ხომასურიძე, გიორგი ჯაიანი, თანახელმძღვანელი – ნატალია ჩინჩლაძე; email: chinchaladze@gmail.com),
- მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის (ხელმძღვანელები – დავით გორდუზიანი, თამაზ ვაშაყმაძე, ჯემალ როგავა, თანახელმძღვანელი – თეიმურაზ დავითაშვილი; email: tedavitashvili@gmail.com)

სექციები, რომლებზედაც მოსმენილი იქნება ოცწუთიანი მოხსენებები.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მიღების მსურველებს ვთხოვთ, ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართონ სათანადო სექციების ხელმძღვანელებს და 2014 წლის 24 მარტამდე წარუდგინონ მათ მოხსენების დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანაავტორების არსებობის შემთხვევაში – მომხსენებლის მითითებით; მონაწილეს შეუძლია მოხსენებით წარდგეს მხოლოდ ერთი სექციის წინაშე, ამასთან, მხოლოდ ერთი მოხსენებით).

სემინარზე მოსმენილი მოხსენებები გამოქვეყნდება სათანადო რეცენზირების გავლის შემდეგ. მოხსენების ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4 ნაბეჭდ გვერდს, ინგლისურ ენაზე აკრეფილს TEX, LATEX, AMSTEX ან AMSLATEX პროგრამების გამოყენებით. მომხსენებლებმა შესაბამისი TEX და PDF ფაილები უნდა გადაგზავნონ ინსტიტუტის გამოცემის “ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები“ სარედაქციო კოლეგიაში, არაუგვიანეს 2014 წლის 2 ივნისისა, მისამართზე viam.enlarged@gmail.com

სემინარის მუშაობა დაიწყება 2014 წლის 22 აპრილს 13:00 საათზე ინსტიტუტის შენობაში (უნივერსიტეტის ქ., 2).

ტრადიციისამებრ, 23 აპრილს 16:00 საათზე დაგეგმილია ილია ვეკუას საფლავის მონახულება მთაწმინდის პანთეონში.

ორგანიზატორები